



საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
ლირეაქტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

15

10

2021 წ.

№ 175

ქ. თბილისი

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების
კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/5) განმხილველი საექსპერტო
კომისიის შექმნის თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ 2000 წლის 5
დეკემბრის საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, „სსიპ - საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების
თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006
წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი
და მე-2 პუნქტებისა და „საექსპერტო კომისიის დამტკიცებამდე კომისიის წევრობის
კანდიდატებზე წერილობითი დასაბუთების მომზადების შესახებ“ სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის 2014 წლის 16 ივლისის №170 ბრძანების
შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. 2021 წლის 15 ოქტომბერს შეიქმნას სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2021 წლის
წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/5)
განმხილველი საექსპერტო კომისია 7 (შვიდი) წევრის შემადგენლობით:

1. იოსებ ბლიაძე - რეჟისორი;
2. მანანა დუმბაძე - მწერალი;
3. მანანა ლეკბორაშვილი - კინომცოდნე;
4. რატი ჯგერაშვილი - რეჟისორი;
5. ნინო ჟვანია - რეჟისორი;
6. ლევან კიტია - რეჟისორი;
7. ლევან ლლონტი - რეჟისორი;

2. გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები საექსპერტო კომისიის წევრებთან და შრომითი
ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და
ხელშეკრულების ვადა.

3. წინამდებარე ბრძანებას თან დაერთოს კომისიის წევრებად მოწვევის თაობაზე
წერილობითი დასაბუთება და კომისიის წევრების CV.

4. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-
კინოცენტრი) IT სპეციალისტს დავით ყურაშიძეს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის
ვებ-გვერდზე განთავსება.

5. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ.
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ.
აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი

გაგა ჩხეიძე

წერილობითი დასაბუთება მანანა ღუმბაძის კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, მანანა ღუმბაძის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიხსენებ, რომ მანანა ღუმბაძის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

მანანა ღუმბაძის მიღებული აქვს განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე 1994-95წწ მ. ღუმბაძე იყო მისი უნივერსიტეტის „სამხრეთის კულტურის ცენტრში“ ფულბრაიტის პროგრამის მკვლევარ-მეცნიერი. 1998-99წწ-ში მისურის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეცნიერ სტიპენდიანტი.

2006 წლიდან მ. ღუმბაძე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია. სხვადასხვა წლებში მ. ღუმბაძე მუშაობდა თსუ-ში პედაგოგად, იყო საქართველოს ახალგაზრდა ეკოლოგთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის გრანტების პროგრამის მრჩეველთა საბჭოს წევრი, ჰავაის ამერიკული უნივერსიტეტის თბილისის ინსტიტუტის პედაგოგი, დამოუკიდებელი გაზეთის „დილის გაზეთი“ მორიგე რედაქტორი და კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ჟურნალ „სოციალური პიოლიტიკა საქართველოში“ მთავარი რედაქტორი და სხვ. 2006 წლიდან დღემდე მ. ღუმბაძე არის ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს მრჩეველი კულტურის და კომუნიკაციის საკითხებში.

მანანა ღუმბაძის ავტორობით გამოიცა შემდეგი საავტორო წიგნები და მონოგრაფიები: „დაიპრავებული პირამიდა“ (მოთხრობების კრებული), „ავღანეთის ბარონის ჭეჭრუტანიდან“ (ნათარგმნია და გამოცემულია ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე), „უმეგაფონოდ და უმიკროფონოდ, „საქართველოს სიმებიანი კვარტეტი“, „ინდური დღიური“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე), „შორია ქაშიდან გულრიფშამდე“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე); „მარკ ტვენი ქართულ ლიტერატურაში“, თარგმანები: „ეილიამ საროიანის ნოველები, „ამერიკული ლიტერატურის მიმოხილვა“, „სახელმძღვანელო მედიასთან უფექტური თანამშრომლობისათვის“, „ინფორმაციის ეპოქაში ვცხოვრობთ (საქართველოში თავისუფალი მედიის განვითარების ზოგიერთი ასპექტი). მ. ღუმბაძე დაჯილდოებულია არაერთი პრესტიჟული ჯილდოთი სტატიებისთვის, თარგმანებისთვის, კვლევებისთვის, შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის.

მანანა ღუმბაძის მაღალი პროფესიონალიზმის, მდიდარი სამუშაო გამოცდილების, ღრმა და საფუძვლიანი განათლებისა და პიროვნული თვისებების გათვალისწინებით, ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი

გაგა ნხვიძე

წერილობითი დასაბუთება ნინო ჟვანიას

კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ნინო ჟვანიას პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ ნინო ჟვანიას განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი ზემოთ მითითებული კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.


ნინო ჟვანიამ 2011 წელს დაამთავრა სერგეი გერასიმოვის სახელობის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის (ВГИК) კინოსარეჟისორო ფაკულტეტი, ქალაქ მოსკოვში.

ნინო ჟვანიას სადებიუტო ნამუშევარის „ადლუმის“ ევროპული პრემიერა შედგა როტერდამის საერთაშორისო საერთაშორისო კინოფესტივალის სექციაში Totally Bright Future, ასევე ნახვენები იქნა ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე. ფილმის ქართული პრემიერა შედგა 2018 წლის თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

ნ. ჟვანიას აქვს გადაღებული ფილმები: „მელოდია“, „ნემი მეგობარი ილიკო“, „მაპატიე მეგობარო“, „ასათიანი“, არის სტუდია „Normafilm“-ის დამფუძნებელი.

ნინო ჟვანიას, როგორც ახალგაზრდა, ნიჭიერ და პერსპექტიულ რეჟისორს, მისი განათლებისა და თანამედროვე ხედვის/. გათვალისწინებით, ვიწვევ კონკურსის საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი



გაგა ნხეიძე

წერილობითი დასაბუთება იოსებ ბლიაძის

კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, იოსებ ბლიაძის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიხსნევ, რომ იოსებ ბლიაძის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი ზემოთ მითითებული კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

1912 წელს ი. ბლიაძემ დაამთავრა შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი, მისი სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ყველაზე ძვირფასი“ ნაწევნები იყო საერთაშორისო კინოფესტივალებზე და დაჯილდოვდა რამოდენიმე პრიზით. მისი პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმის „სამი საფეხური“ პრემიერა შედგა როტერდამის ფესტივალზე, ფილმმა მონაწილეობა მიიღო 20-მდე საერთაშორისო კინოფესტივალზე და არის 10 პრიზის მფლობელი. ფილმი „ტრადიცია“ შეირჩა კლემონ-ფერანის საერთაშორისო კონკურსზე, ხოლო ი. ბლიაძის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმის „ოთარის სიკვდილი“ პრემიერა შედგა კარლოვი-ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე და დაჯილდოვდა კინოკრიტიკოსების პრიზით.

იოსებ ბლიაძეს, როგორც ახალგაზრდა, ნიჭიერ რეჟისორს ვიწვევ კონკურსის საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი



გაგა ნხვიძე

წერილობითი დასაბუთება რატი ჯებაშვილის კომისიის

წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური კანდიდატის, რატი ჯებაშვილის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-სა და ინტერნეტ სივრცეში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, მივიჩნევ, რომ რატი ჯებაშვილის განათლება, სამუშაო გამოცდილება, კვალიფიკაცია და პიროვნული თვისებები იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

2000წ. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ რატი ჯებაშვილმა სწავლა განაგრძო კოლუმბიის უნივერსიტეტის მედია ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 2011 წელს. რატი ჯებაშვილს აქვს შვეიცარიის European Graduate School PhD-ის (ევროპის უმაღლესი სკოლის) ფილოსოფიის დოქტორის წოდება.

რატი ჯებაშვილის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „მზის ქალაქი“ პრემიერა 2017 წლის თებერვალში ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართა. ფილმი არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელია: მიღებული აქვს პრიზები ამსტერდამის დოკუმენტური კინოს საერთაშორისო ფესტივალსა და სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალზე. 2017 წლის აპრილში „მზის ქალაქმა“ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საერთაშორისო კინოფესტივალზე ვისბანდში კულტურული მრავალფეროვნების ფედერალური უწყების პრიზი მიიღო, ხან-ფრანცისკოს საერთაშორისო კინოფესტივალზე უიურის სპეციალური პრიზი დაიმსახურა, ხოლო ესპანეთის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე „Documental Madrid“ მთავარი ჯილდოს მფლობელი გახდა.

რატი ჯებაშვილი არის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „თეო“ – რეჟისორი და პროდიუსერი, მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების „ლეოე“ და „უხილავი სივრცეები“ პროდიუსერი.

რატი ჯებაშვილის პროფესიონალიზმის, ღრმა და მრავალმხრივი განათლებისა და თანამედროვე ხედვის გათვალისწინებით, ვიწვევ მას საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი



გაბა ჩხვიძე

წერილობითი დასაბუთება მანანა ლეკბორაშვილის კომისიის

წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, მანანა ლეკბორაშვილის პერსონალურ მონაცემების წარმოდგენილი CV-სა და სხვა წყაროების საფუძველზე, მივიჩნევ, რომ მანანა ლეკბორაშვილის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

1988 წლიდან მანანა ლეკბორაშვილი სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1993 წელს კინომცოდნის სპეციალობით. 1986-1990 წლებში იგი მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ რეჟისორის ასისტენტად და მეორე რეჟისორად. 1990 წლიდან დღემდე მანანა ლეკბორაშვილი მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში სახვადასხვა თანამდებობებზე - კინოკაბინეტის გამგედ, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წამყვან მეცნიერ თანამშრომლად, 2006 წლიდან იგი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია, პარალელურად კითხულობს ლექციებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ქართულ-ევროპულ უნივერსიტეტში.

2005 წელს მანანა ლეკბორაშვილმა დაიცვა დისერტაცია თემაზე „60-70 წლების ქართული კინოს უანრული ტენდენციები“, იგი არის ავტორი წიგნისა - „საზღვარგარეთის კინოს ისტორია“ (ლექციების კურსი). მ. ლეკბორაშვილის კალამს ეკუთვნის არაერთი სამეცნიერო ნაშრომი ქართული კინოს სხვადასხვა თემატიკაზე.

მანანა ლეკბორაშვილს, როგორც მედალი კვალიფიკაციის კინომცოდნეს, კინოხელოვნების სფეროში მისი ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის გათვალისწინებით ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი



გაგა ჩხეიძე

წერილობითი დასაბუთება ლევან კიტიას კომისიის

წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ლევან კიტიას პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ ლევან კიტიას განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი ზემოთ მითითებული კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

ლევან კიტიამ 1988 წელს დაამთავრა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის სარეჟისორო განყოფილება. 1988-1990 წლებში ლ. კიტიას კითხულობს სალექციო კურსს თანამედროვე კინოს შესახებ თსუ-ში, 1996-1997 წლებში იგი არის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი, 1997-2000 წლებში თსუ ხელოვნების ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი, ხოლო 2000-2006 წლებში ამავე ფაკულტეტის დოცენტი, ხოლო 2009 წლიდან თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

სხვადასხვა წლებში ლ. კიტია მუშაობდა რეჟისორის ასისტენტად, სტაჟორად, რეჟისორად, სამხატვრო ხელმძღვანელად, კრეატიულ დირექტორად, პროდიუსერად, ფოტოგრაფად, სცენარისტად, რეპორტიორად და წამყვანად 20-მდე სხვადასხვა ტელეპროექტში. 1978-1984 წლებში ლ. კიტია იყო თსუ ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანების თავმჯდომარე. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის წევრი, რამოდენიმე მხატვრული და დოკუმენტური ფილმის სცენარის თანაავტორი და ზოგიერთი მათგანის რეჟისორი. ფილმები მონაწილეობდნენ კიევის, კარლოვი-ვარის, თელ-ავივის, კასინოს, ედინბურგის, მიუნჰენის, საარბრუკენის, კლემონ-ფარანის, რეტერდამის, ედინბურგის, მოსკოვის, მონტეკატინის, კოტბუსისა და სხვა კინოფესტივალებზე. ფილმებს მოპოვებული აქვთ საერთაშორისო ჯილდოები.

კინო და ტელე სფეროში ხანგრძლივი და მრავალმხრივი სამუშაო გამოცდილების, მაღალი კვალიფიკაციისა და კრეატიული ხედვის და გათვალისწინებით, ვიწვევ მას საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი



გაგა ჩხეიძე

წერილობითი დასაბუთება ლევან ღლონტის კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრობის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ლევან ღლონტის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ, მის მიერ წარმოდგენილი CV-ისა და ინტერნეტ სივრცეში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მივიჩნევ, რომ ლევან ღლონტის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

ლევან ღლონტს განათლება მიღებული აქვს თბილისის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოსარეჟისორო (მეორადი ფაკულტეტი) ფაკულტეტზე.

ლევან ღლონტს გადაღებული აქვს რამოდენიმე მხატვრული და დოკუმენტური ფილმი, არის ფილმების სცენარის ავტორი, ნამუშევარი აქვს როგორც ფილმის მემონტაჟესა და მსახიობს. ლევან ღლონტის კინონამუშევრები წარმატებით მონაწილეობდნენ არაერთ საერთაშორისო კინოფესტივალსა და კინოფორუმზე, მათ მიღებული აქვთ ჯილდოები: 1992 წელს „ოქროს არწივი“ - საუკეთესო სადებიუტო ნამუშევრისთვის, 1992 წელს კიევის საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი – საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევრისთვის, ლონდონის ტელევიზიის მე-4 არხის ჯილდო.

ლ. ღლონტი არის საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი.

ლევან ღლონტის განათლების, პროფესიონალიზმისა და სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი



გაბა ჩხეიძე

ბიოგრაფია

CV

მანანა დუმბაძე

მისამართი:

თბილისი, ფალაშვილის 33ა, ბ. 23.

ტელ: 22 31 85 (სახლი), მობ: 599 000844, (ამჟამად) +972 549711911

ელ. ფოსტა: მანანდუმბაძე@gmail.com

ოჯახური მდგომარეობა:

მამა: ნოდარ დუმბაძე, მწერალი

დედა: ნანული დუმბაძე, ისტორიკოსი

შვილი: ნოდარ თოფურიძე, იურისტი ყავს მეუღლე და 3 შვილი.

მეუღლე: ჯემალ თოფურიძე, მწერალი (გარდაიცვალა 1978 წელს)

საქმიანობის სფერო: დიპლომატია, ლიტერატურათმცოდნეობა, ჟურნალისტიკა, კომუნიკაციები.

განათლება:

1974 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის სპეციალისტი და მასწავლებელი.

1994 –1995 – ფულბრაიტის პროგრამის მკვლევარი მეცნიერი მისისიპის უნივერსიტეტის `სამხრეთის კულტურის კვლევის ცენტრში` (აშშ);

1998 _ 1999 _ აშშ საინფორმაციო სააგენტოს პროგრამის (მიმდინარე საკითხები) მონაწილე და მისურის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის (Mისსოური შკოლოლ ოფ ჟოურნალისმ) მეცნიერი სტიპენდიანტი; აქვე გაიარა მედიის მენეჯმენტისა და საინფორმაციო პროგრამების მენეჯერთა სპეციალური კურსი.

2002 _ მოსკოვი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთა კურსები (რუსეთის საზოგადოებასთან ურთიერთობის ასოციაცია _ დАРО)

2005 _ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კურსები საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხებში (საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ფონდი).

2007 – კომუნიკაციის სპეციალისტის საკვალიფიკაციო კურსი. აშშ ჩჰემონიკს Iნტ.

სამეცნიერო ხარისხი:

1986 – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა);

2006 - ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

სამუშაო გამოცდილება:

2016 აგვ. დღემდე ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს მრჩეველი კულტურის და კომუნიკაციის საკითხებში;

2013 – 2015. ნაციონალ გეოგრაფიკ გეორგია, მთავარი რედაქტორის მოადგილე

2012 -2013 არასამთავრობო ორგანიზაციის „პირველი ნაბიჯი“ - საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამის ხელმძღვანელი;
მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლე - კომუნიკაციის კაბინეტის ხელმძღვანელი;

2011-2012 კომუნიკაციის პროგრამის დირექტორი. ჩჰემონიცს ინტერნაციონალ (აშშ-ის ბიზნესის კლიმატის რეფორმის პროგრამა (თAFA) ქაბული. ავღანეთი;

2010 მედია/კომუნიკაციების პროგრამის თანამშრომელი. არჩევნების სისტემის საერთაშორისო ფონდი (IFEშ);

2009 - 2011 აშშ-ის UშAID/გეორგია ედუკაციონ ადმინისტრაციონ პროჯექტ (UშAID GEM).- ქართულენოვანი ტექსტების რედაქტორი;

2009 -2011

- აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (UშAID) საქართველოს განათლების ადმინისტრირების პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტი.
- (UშAID)-ს “საქართველოს განათლების ადმინისტრირების პროექტის სამეცნიერო და სასწავლო მასალების რედაქტორი.

2006 – 2009

- აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ბიზნესის გარემოს რეფორმის პროექტის (UშAID Bჩდ) კომუნიკაციის სპეციალისტი (2009 წლის იანვარში პროექტმა განსაკუთრებით წარმატებული საკომუნიკაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისთვის UშAID კავკასიის ჯილდო დაიმსახურა).

2001 – 2006:

- ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

- ფონდ `ჰორიზონტის~ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამის მენეჯერი, ყოველკვირეული ბიულეტენის “სამოქალაქო სექტორის მაცნე” რედაქტორი”;
- ჟურნალ “სოციალური პოლიტიკა საქართველოში” მთავარი რედაქტორი.

2002 – 2006 _ „სამი ზღვის მწერალთა და მთარგმნელთა საერთაშორისო საბჭოს“ (თშჭთჩ) პრეზიდენტი (საბერძნეთი, როდოსი);

1996 – 2001 _ დამოუკიდებელი ყოველდღიური გაზეთის “დილის გაზეთი” მორიგე რედაქტორი და კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი;

1998 – 2000 – აშშ სამეცნიერო და სასწავლო პროგრამების მონაწილეთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი ყოველთვიური ჟურნალის “ხიდი” მთავარი რედაქტორი;

1997 _ გაზეთის “მოქალაქე” მთავარი რედაქტორის მოადგილე

1995 – 1998 – ჰავაის ამერიკული უნივერსიტეტის თბილისის ინსტიტუტის პედაგოგი (ამერიკული ლიტერატურის ისტორია);

1995 – 1996 _ ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია IშAდ-ის გრანტების პროგრამის მრჩეველთა საბჭოს წევრი;

1982 – 1992 – საქართველოს ახალგაზრდა ეკოლოგთა საზოგადოების ვიცეპრეზიდენტი

1985 – 1888 _ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის პედაგოგი;

1888 – 1992 – თბილისის სამედიცინო დახელოვნების ინსტიტუტის ქართული ლიტერატურისა და ინგლისური ენის პედაგოგი.

საზოგადოებრივი საქმიანობა

მანანა დუმბაძე არის მწერალთა კავშირის წევრი, სამი ზღვის (ეგეოსის, შავი და ბალტიის ზღვების) მწერალთა და მთარგმნელთა საერთაშორისო საბჭოს წევრი (თშჭთჩ), გაზეთების მსოფლიო ასოციაციის წევრი (ჭAN), აშშ სამეცნიერო პროგრამების მონაწილეთა ასოციაციის დამფუძნებელთა საბჭოს წევრი, საქართველოს შემოქმედებითი ასოციაციების საბჭოს მდივანი და საქართველოს მთარგმნელთა და თარჯიმანთა ასოციაციის (მთა - თIAMთA) დამფუძნებელთა საბჭოს წევრი და ამჟამად – პრეზიდენტი;

სხვადასხვა დროს მონაწილეობდა მსოფლიო გაზეთების ასოციაციის კონგრესებში ციურიხში (1998), რიო-დე-ჟანეიროში (1999), რომში (2005), მოსკოვში (2006) და დუბაიში (2011)

“ევროპის ხელოვანთა საბჭოს” (UNEშBO- EწA) ეგიდით ევროპის 4 ქვეყნის ხელოვანთა ასოციაციებთან ერთად, მანანა დუმბაძის ხელმძღვანელობით 2004 წელს საქართველოში განხორციელა პროექტი “ეროპა, ხელოვანები გაშლიან შენს გულს, როგორც ხალიჩას”.

მანანა დუმბაძე არის 1000-მდე სამეცნიერო თუ გაზეთო სტატიის ავტორი, თარგმნილი აქვს უილიამ ბეკეტის, მარკ ტვენის, უილიამ საროიანის, რეი ბრედბერის, ჯონ აპდაიკის, ისრაელელი პოეტების და სხვათა ნაწარმოებები ქართულ ენაზე, ასევე, ქართველ პოეტთა ნაწარმოებები ინგლისურად, რომლებიც სხვადასხვა დროს დაიბეჭდა უცხოეთის (საბერძნეთი, შვედეთი, ალბანეთი, თურქეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ისრაელი) არაერთ ლიტერატურულ გამოცემაში.

მანანა დუმბაძის ავტორობით გამოიცა შემდეგი საავტორო წიგნები და მონოგრაფიები:

“დაყირვეებული პირამიდა” (მოთხრობების კრებული), “ავღანეთი ბარონის ჭუჭრუტანიდან“ (ნათარგმნია და გამოცემული ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე), “უმეგაფონოდ და უმიკროფონოდ, “საქართველოს სიმებიანი კვარტეტი”, “ინდური დღიური” (ქართულ და ინგლისურ ენებზე), “შორია ქაშიდან გულრიფშამდე” (ქართულ და ინგლისურ ენებზე); მარკ ტვენი ქართულ ლიტერატურაში~, თარგმები: უილიამ საროიანის ნოველები, “ამერიკული ლიტერატურის მიმოხილვა”, “სახელმძღვანელო მედიასთან ეფექტური თანამშრომლობისათვის”, “ინფორმაციის ეპოქაში ვცხოვრობთ (საქართველოში თავისუფალი მედიის განვითარების ზოგიერთი ასპექტი);

პრემიები - ჯილდოები:

- შოთა რუსთაველის საზოგადოება - დავით გურამიშვილის პრემია, “ვეფხისტყაოსანზე “ უცხოელ ავტორთა სტატიების და კვლევების კრებულის თარგმანისათვის;
- საქართველოს მწერალთა კავშირი - ილია ჭავჭავაძის პრემია შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის;
- რევაზ ინანიშვილის ლიტერატურული პრემია “ერთი მოთხრობა” (2018 წლის კონკურსი);
- საქართველოს მწერალთა კავშირი - “თამარიონის ენდალმა” საქართველო-უცხოეთთან კულტურულ ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის;
- ქ.თბილისის მერიისა და ფონდ “უინსტონ ფაუნდემენის” სპეციალური პრიზი დედაქალაქის თემაზე შექმნილი საუკეთესო სტატიისათვის.

Curriculum Vitae

მანანა გიორგის ას. ლეკბორაშვილი,

კინომცოდნე, კინოკრიტიკოსი

დაბ. 29.07.1960

ოჯახური მდგომარეობა: მეუღლე და ორი შვილი

მცხოვრები: თბილისი, ვარკეთილის III მასივი, IX კვ., IX კორპ., ბ.3

ტ. 76-61-98

ელ.ფოსტა: მლევბორასჰვილი@ტაფუ.ედუ.გე

განათლება

1988-1993 - მოსკოვის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი, სასცენარო-კინომცოდნეობის ფაკულტეტი, კინომცოდნის სპეციალობით.

1977-1983 - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, სამკურნალო ფაკულტეტი, ექიმი-თერაპევტის სპეციალობით.

პროფესიული გამოცდილება

2006 - დღემდე - შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

1993 – 2003 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ვიზუალურ ხელოვნებათა კათედრა, უფროსი პედაგოგი. “კინოხელოვნების ისტორიისა და თეორიის” კურსი;

1993-2006 - სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კინოს სექტორი, წამყვანი მეცნიერთანამშრომელი;

1990 – 1993 - შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი, კინოკაბინეტის გამგე;

1986-1990 - კინოსტუდია “ქართული ფილმი”, რეჟისორის თანაშემწე, რეჟისორის ასისტენტი, მეორე რეჟისორი.

1984-1985 - საქართველოს უშიშროების კომიტეტის სამედიცინო სამსახური, ექიმი-კარდიოლოგი.

1983-1984 - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰოსპიტალი, ექიმი-ინტერნი.

პუბლიკაციები

დამხმარე სახელმძღვანელო: “საზღვარგარეთის კინოს ისტორია” (ლექციების კურსი), 2004 260 გვ.

სახელმძღვანელოს “კინოკრიტიკა და თეორია. ფილმის ანალიზის საფუძვლები. 2016. გამომცემლობა “კენტავრი” თანაავტორი (ლია კალანდარიშვილთან და მაია ლევანიძესთან ერთად)

ბოლო 10 წლის სტატიები:

1. ნუარი „საბედისწერო ქალი“ - ჟანრული კონცეპტი ისტორიულ და სოციალურ კონტექსტში. წაკითხულია ამერიკისმცოდნეობის XI ყოველწლიურ კონფერენციაზე „ამერიკა და ამერიკული ღირებულებები“, 2010
2. „ქალები წარსულით და კაცები მომავლის გარეშე“ (ბილი უაილდერის კლასიკური ნუარი „ორმაგი“ დაზღვევა“) - ელექტრონული ჟურნალი „კინო Lუმბიერე“, 2010/2. ჰტტპ://წწწ.კინოლუმბიერ.გე
3. ტექნიკური პროგრესი და ესთეტიკური რეგრესი პირველ ხმოვან ფილმებში - კრებული „სახელოვნებო პროცესები (1900-1930)“. საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011
4. მასალები ქართული კინოს ენციკლოპედიისათვის, 2010-2011
5. მიგა ვერტოვის პარადოქსი - კრებული „ხელოვნება ტოტალიტარიზმის პერიოდში (1930-1960), საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012
6. სწრაფვა დოკუმენტურობისკენ და დოკუმენტალიზმის „განლევა“ - კრებული „სახელოვნებო მეცნიერებათა მიეზანი“, N3 (48), 2011, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
7. კრიტიკისა და კრიტიკოსის რაობის შესახებ - კრებული „სახელოვნებო მეცნიერებათა მიეზანი“, N3 (52), 2012, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
8. მონტაჟი და რედაქტირება - წარსულიდან დღევანდებამდე - კრებული „სახელოვნებო მეცნიერებათა მიეზანი“, N4 (53), 2012, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
9. სამოციანელთა „არასაბჭოთა“ კინო - კრებული „XX საუკუნის ხელოვნება. დრო, ხელოვანი, ხელისუფლება“, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014
10. ოთხმოცდაათიანი წლების ქართული კინოს ჟანრული სივრცე. წაკითხულია საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციაზე, 2014
11. დოკუმენტური კინო და ახალი ტექნოლოგიები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კულტურა და ხელოვნება: კვლევა და მართვა“ მასალები. ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ბათუმი. 2015
12. ორიათასიანი წლების ქართული კინოდოკუმენტალისტიკა რეალობის კრეატიული ათვისების გზაზე. 2017
13. გარდამავალი პერიოდის ქართული კინოს ჟანრული სივრცე. 2017
14. ჰეისის კოდექსი და სოცრეალიზმი - ცენზურის პარალელები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კულტურა და ხელოვნება: კვლევა და მართვა“ მასალები. ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ბათუმი. 2017
15. თანამედროვე ქართული კინემატოგრაფი და ჟანრული კინო - კითხვები და ვარაუდები - ჟ. კინოფორუმი. საქართველოს კინოაკადემია. იანვარი-ივნისი. 2018

16. ცხოვრებისეული და მხატვრული სიმართლე ქართველ სამოციანელთა შემოქმედებაში. „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“, 2 (83), 2020 საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

17. კულტურათა დიალოგი “ცივი ომის” ფონზე - „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“, 3 (80), 2019 საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

18. როჯერ კორმანი - BB-კატეგორიის ფილმების ლეგენდარული მეფე და მისი სტუდია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კულტურა და ხელოვნება: კვლევა და მართვა“ მასალები. ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ბათუმი. 2019.

18. საბჭოთა კინემატოგრაფისა და ჟანრული კინოს ურთიერთობა – კინოცენტრის ჟურნალი “კინ-0”, 2020/2

პუბლიკაციები პრესაში ბოლო ათ წელიწადში:

2011-2021 ჟურნალი “ფილმპრინტი”, “კინ- 0”

სამეცნიერო ხარისხი

ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი (2005) სადისერტაციო ნაშრომის თემა: სამოცი-სამოცდაათიანი წლების ქართული კინოს ჟანრული ტენდენციები

პროფესიონალური წევრობა

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი 1995 წლიდან

გრანტები

IATP-ის მცირე გრანტი ქართული ვებ-რესურსების განვითარებისათვის. ვებ-გვერდის www.georgian-cinema.ge ავტორი, ადმინისტრატორი. 2003 (სამენოვანი გვერდი მოიცავს ქართული კინოპროცესის ახალ ამბებს, ფილმოგრაფიას, ქართველი კინემატოგრაფისტების ბიოგრაფიებს და ფილმოგრაფიას, სტატიებს, რეცენზიებს ქართული კინოს შესახებ, ქართული კინოჟურნალების ანოტაციებს) უნივერსიტეტის შიდა გრანტი “კინოს თეორიისა და კრიტიკის სახელმძღვანელოს” შესაქმნელად 2009

ენები

ქართული - მშობლიური

რუსული - კარგად

ინგლისური, ფრანგული - შემოდლია კითხვა, საუბარი



ბიოგრაფია

რეჟისორი და

სცენარისტი

იოსებ „სოსო“ ბლიაძე

დაბადებული 24.05.1986

მის: ვაჟა ივერიელის 36/38

თბილისი, საქართველო.

მობ: 598 111 117

E-mail: soso86bliadze@gmail.com

მოკლე ბიოგრაფია

დაიბადა თბილისში, 1986 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინფორმატიკის ფაკულტეტზე. 2008 წლიდან 2012 წლამდე სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მხატვრული კინოს რეჟისურას. სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ყველაზე ძვირფასი“ (2012) იყო ნაჩვენები საერთაშორისო ფესტივალებზე და აქვს მიღებული რამოდენიმე პრიზი. „სამი საფეხური“ (2017) არის პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმი სტუდენტობის შემდეგ, რომლის პრემიერაც როტერდამის ფესტივალზე შედგა, ასევე მოხვდა 20 ფესტივალზე და არის 10 პრიზის მფლობელი. „ტრადიცია“ (2019) კლერმონ-ფერანის საერთაშორისო ფილმების ფესტივალზე, საერთაშორისო კონკურსში შეირჩა. პირველი

სრულმეტრაჟიანი ფილმის "ოთარის სიკვდილი" (2021) პრემიერა შედგა კარლოვი ვარის კინოფესტივალზე და მიიღო კინოკრიტიკოსთა ჯილდო.

ფილმოგრაფია

2020 – "ოთარის სიკვდილი" – სრულმეტრაჟიანი მხ. ფილმი – 105:00

ფესტივალები:

კარლოვი ვარის კინოფესტივალი (2021 აგვისტო) - კარლოვი ვარი, სამხრეთ კორეა – კინოკრიტიკოსტა ჯილდო;

ბათუმის საერთაშორისო კინო ფესტივალი (2219 სექტემბერი) - ბათუმი, საქართველო – ჟიურის სპეციალური პრიზი, ქალის საუკეთესო შესრულება (ნუცა კუზიანიძე);

2019 – "ტრადიცია" - მოკლემეტრაჟიანი მხ. ფილმი - 22:00

ფესტივალები:

ბუსანის საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი (2019 აპრილი) - ბუსანი, სამხრეთ კორეა – ოფიციალური სელექცია;

ბათუმის საერთაშორისო კინო ფესტივალი (2019 სექტემბერი) - ბათუმი, საქართველო – ოფიციალური სელექცია;

ბაქოს საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი

(2019 ნოემბერი) - ბაქო, აზერბაიჯანი – ოფიციალური სელექცია;
თბილისის საერთაშორისო ფილმების ფესტივალი (2019 დეკემბერი) -
თბილისი, საქართველო – ოფიციალური სელექცია ქართულ
პანორამაში;

პრადის ახალგაზრდული საერთაშორისო ფილმების ფესტივალი
(2019 ნოემბერი) - პრადა, ჩეხეთი – ოფიციალური სელექცია;

ფლიკერფესტივის საერთაშორისო ფილმების ფესტივალი (2020
იანვარი) - სიდნეი, ავსტრალია – ოფიციალური სელექცია;

Play Short Film Awards (2020 იანვარი) - პორტუგალია – საუკეთესო
რეჟისურა და საუკეთესო მამაკაცის როლი;

კლერმონ-ფერანის საერთაშორისო ფილმების ფესტივალი (2020
თებერვალი) - კლერმონ-ფერანი, საფრანგეთი – ოფიციალური
სელექცია;

რიგას საერთაშორისო ფილმების ფესტივალი 2ANNAS (2020
თებერვალი) - რიგა, ლატვია – ოფიციალური სელექცია;

2017 – "სამი საფეხური" - მოკლემეტრაჟიანი მხ. ფილმი - 20:00

ფესტივალები:

როტერდამის საერთაშორისო კინო ფესტივალი (2017 იანვარი) -
როტერდამი, ნედერლანდები – შერჩეული იყო პროგრამა Voices-ში;
ლანდშუტის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი (2017 მარტი)
- ლანდშუტი, გერმანია – ოფიციალური სელექცია;

კიევის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი (2017 აპრილი) –
კიევი, უკრაინა – ჟიურის პრიზი და მაყურებლის სიმპატია;

**ობერჰაუზენის 63-ე საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების
ფესტივალი** (2017 მაისი) - ობერჰაუზენი, გერმანია – ოფიციალური
სელექცია NRW კონკურსში;

საერთაშორისო კინოსკოლა ახალგაზრდა

კინემატოგრაფისტებისთვის „თანამეგობრობა“ (2017 ივნისი) -
ბათუმი, საქართველო - 2 ადგილი, ოსტატების დიპლომი და
კინოკრიტიკოსთა დიპლომი;

**ჰამბურგის 33-ე საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების
ფესტივალი** (2017 ივნისი) - ჰამბურგი, გერმანია – ოფიციალური
სელექცია;

FECIBogotá - International Independent Film Fair of Bogotá - (2017 ივნისი) -
ბოგოტა, კოლუმბია – ოფიციალური სელექცია;

FEST - New Directors New Films Festival (2017 ივნისი) - ეშპინიუ,
პორტუგალია - ოფიციალური სელექცია;

ბურგასის საერთაშორისო კინო ფესტივალი (2017 ივლისი) - ბურგასი,
ბულგარეთი - ოფიციალური სელექცია;

**OPEN PLACE საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების
ფესტივალი** (2017 აგვისტო) – რეზეკნე, ლატვია – საუკეთესო
სცენარის პრიზი;

KinoShot საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი
(2017 აგვისტო) - ჩერკასი, უკრაინა – ოფიციალური სელექცია;

ბათუმის საერთაშორისო კინო ფესტივალი (2017 სექტემბერი) -
ბათუმი, საქართველო – ჟიურის სპეციალური პრიზი;

ჰანჩენის საერთაშორისო კინო ფესტივალი (2017 ოქტომბერი) -
ჰანჩენი, ჩინეთი – ოფიციალური სელექცია;

კაოსიუნის საერთაშორისო კინო ფესტივალი (2017 ოქტომბერი) -
კაოსიუნი, ტაივანი – ოფიციალური სელექცია;

**კიოლნის მე-11 საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების
ფესტივალი** (2017 ნოემბერი) - კიოლნი, გერმანია – ოფიციალური
სელექცია;

ინტერფილმ ბერლინის 33-ე საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი / კუკის მე-10 საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი ახალგაზრდებისთვის (2017 ნოემბერი) - ბერლინი, გერმანია – ჟიურის სპეციალური პრიზის; ექსგრაუნდის საერთაშორისო ფილმების ფესტივალი (2017 ნოემბერი) - ვისბადენი, გერმანია – საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი;

თბილისის საერთაშორისო ფილმების ფესტივალი (2017 დეკემბერი) - თბილისი, საქართველო – ოფიციალური სელექცია ქართულ პანორამაში;

ზუბროვკას საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი (2017 დეკემბერი) - ბიალისტოკი, პოლონეთი – ოფიციალური სელექცია;

ყირგიზეთის საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი (2017 დეკემბერი) - ბიშკეკი, ყირგიზეთი – პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის;

2012 - "ყველაზე ძვირფასი" - მოკლემეტრაჟიანი მხ. ფილმი - 28:20

ფესტივალები:

BIAFF (2012 სექტემბერი) - ბათუმი, საქართველო - ოფიციალური სელექცია მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში;

ISFVF (2012 ნოემბერი) - ბეიჯინგი, ჩინეთი - ოფიციალური სელექცია;

VGIK-ის სტუდენტური ფესტივალი (2012 ნოემბერი) - მოსკოვი, რუსეთი - ოფიციალური სელექცია;

FiloFest (2012 დეკემბერი) - ლუბლიანა, სლოვენია - პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის, პრიზი საუკეთესო მხატვრული ფილმისთვის, პრიზი საუკეთესო მსახიობის შესრულებისთვის;

თბილისის საერთაშორისო ფესტივალი (2012 დეკემბერი) – თბილისი, საქართველო - ჩვენება;

FTII-ს ფესტივალი (2013 აპრილი) - პუნე, ინდოეთი - ჩვენება

ამირანის სტუდენტური ფესტივალი (2013 ივნისი) – თბილისი, საქართველო - ჟიურის სპეციალური პრიზი, სტუდენტური ჟიურის პრიზი;

Shaken’s Star (2013 ივნისი) – აღმა-ატა, ყაზახეთი – საუკეთესო სტუდენტუტი ფილმი;

15th Tel Aviv-ის სტუდენტური ფილმების ფესტივალი (2013 ივნისი) – თელ-ავივი, ისრაელი – ოფიციალური სელექცია;

EkoFilm (2013 ოქტომბერი) - ოსტრავა, ჩეხეთი – ოფიციალური სელექცია;

სესილი (2014 ოქტომბერი) – თბილისი, საქართველო – ფესტივალის სპეციალური პრიზი.

განათლება:

1983-1988 - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, კინოფაკულტეტი, სარეჟისორო განყოფილება;

1980-1983 - საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ასპირანტურა;

1977-1980 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დისციპლინათშორისი მომზადების განყოფილება, საერთაშორისო ურთიერთობები;

1975-1980 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია;

შრომითი და პროფესიული გამოცდილება:

2014-2019 - რეჟისორი, პროდუსერი, დოკუმენტური ფილმების სტუდია, გართიანება ტელეფილმები, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი,

2013-2014 - რეჟისორი, ტელესერიალი **Ali ve Teo** („ალი და თეო“) **BREND-HOUSE** (საქართველო), ტელეკომპანია **LIDER-TV** (აზერბაიჯანი);

2013 - რეჟისორი, ტელესერიალი **Həyat çiçəyi** (“სიცოცხლის ყვავილი“) "Ultraproduction" (აზერბაიჯანი), ტელეკომპანია **ATV** (აზერბაიჯანი)შეკვეთით;

2011-2012 - კრეატიული დირექტორი,
სარეკლამო კომპანია ART AVENUE;

2010-2011 - რეჟისორი,
სატელევიზიო პროექტი "GEO მეგზური",
სტუდია დღე,
ტელეკომპანია რუსთავი-2 შეკვეთით;

2010-2011 - პროექტის თანაავტორი, რეჟისორი,
სატელევიზიო პროექტი „კადრი“(რეალითი-შოუ),
სტუდია დღე,
ტელეკომპანია ახალი არხი შეკვეთით;

2009-2010 - წამყვანი,
ყოველდღიური სატელევიზიო პროგრამა „ჩვენი დილა“
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი,
ტელეკომპანია I არხი ;

2008-2009 - რეჟისორი, წამყვანი,
სატელევიზიო პროექტი "დიდების 100 წამი",
ტელეკომპანია იმედი;

2008-2009 - რეჟისორი,
სატელევიზიო პროექტი "დიალოგი როლში"
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი,
სტუდია "დღე",
ტელეკომპანია I არხი;

2007 - რეჟისორი,
სატელევიზიოსერიალი "ყავაჯღღუდი-4";
ტელეკომპანია იმედი;

2005-2006 - რეჟისორი (სარეკლამო პროექტები),
"MARMELADE-Production", "RADIOAKTIV-FILMS" (უკრაინა,კიევი);

2005 - რეჟისორი,
სატელევიზიო სერიალი "მუხტარის დაბრუნება-2" (ცალკეული სერიები),
საპროდუსერო კომპანია B-2 (რუსეთი,მოსკოვი), სტუდია PRO-TV (უკრაინა,კიევი),
ტელეკომპანია HTB-ს შეკვეთით;

2002-2005 - მიმართულების პროდუსერი, პროექტების სელექციის პროდუსერი,
ტელეკომპანია იმედი;

2003-2004 - რეჟისორი,
სატელევიზიოსერიალი "ყავა & ლუდი";
ტელეკომპანია იმედი;

2001-2003 - კრეატიული დირექტორი,
სარეკლამო კომპანია AMI;

2001-2002 - რეჟისორი, კოპირაიტერი,
სარეკლამო გაერთიანება ქედი-Mchann-Ericson, AD-კორპორაცია;

2000-2001 - რეჟისორი,
სატელევიზიო პროექტი "დიდების ზღაპარი",
სტუდია აუდიენცია,
საქართველოს TV , I არხი;

1999-2000 - პროექტის თანაავტორი, რეჟისორი,
ყოველკვირეული პროგრამა "ჭორ-NEWS",
საქართველოს TV, I არხი;

1998 –1999 - სამხატვრო ხელმძღვანელი,
სტუდია დღე,
საქართველოს TV , I არხი;

1996-1997 - ფოტოგრაფი, რეპორტიორი,
ფოტო-სააგენტო VOSTOK-PRESS (საფრანგეთი, პარიზი);

1994-1996 - პროექტის თანაავტორი, რეჟისორი,
ყოველკვირეული პროგრამა "ჭორ-NEWS",
სტუდია საღამო მშვიდობისა,
საქართველოს TV , I არხი;

1993-1994 - მეორე რეჟისორი,
დოკუმენტური პროექტი «Seule, Geogie» - "საქართველო მარტო",
(რეჟისორი - ოთარ იოსელიანი),
ტელეკომპანია ARTE (საფრანგეთი-გერმანია);

1992-1993 - მკვლევარი,
კინო-ფოტო არქივები საქართველოსა (თბილისი) და რუსეთში (კრასნოგორსკი);

1990-1992 - სტრინგერი, ფიქსერი საქართველოში,
ტელეკომპანიები ABC-New და ITN;

1987-დან - რეჟისორი,
კინოსტუდია "ქართული-ფილმი";

1984-1986 - სტაჟორი,
მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანება,
კინოსტუდია "ქართული-ფილმი";

1983-1985 - რეჟისორის ასისტენტი,
მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმი "შვიდკაცა"
(რეჟისორი - სოსო ჩხაიძე)
საქართველოს ტელეფილმების სტუდია.

პედაგოგიურისაქმიანობა:

2014 -დან - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი,
მოწვეული პედაგოგი, (კურსი: ოპერატორის ხელოვნება - აუდიოვიზუალური
გამომსახველობითი საშუალებების განვითარება)

2009-2014 - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი, კინო-ფაკულტეტი,
ასოცირებული პროფესორი;

2000-2006 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ხელოვნების ფაკულტეტი, კინოსა და ტელევიზიის კათედრა,
დოცენტი;

1997-2000 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ხელოვნების ფაკულტეტი, კინოსა და ტელევიზიის კათედრა,
უფროსი მასწავლებელი;

1996-1997 - საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი, კინოფაკულტეტი,
უფროსი მასწავლებელი;

1988-1990 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი,
მასწავლებელი (სემინარი - თანამედროვე კინო);

შემოქმედებითი კავშირები:

1978-1984 - თსუ ახალგაზრდა მწერალთა წრე "პირველი სხივი"
(1980-1981- გაერთიანების თავმჯდომარე);

1991-დან - საქართველოსკინემატოგრაფისტთა კავშირი,
გამგეობის წევრი;

ენები: ქართული, ინგლისური, რუსული

კომპიუტერული უნარ-ჩვევები: კვალიფიციური მომხმარებლის დონეზე

ავტობიოგრაფია

სახელი, გვარი: ლევან ლლონტი
დაბ. თარიღი: 10 მაისი, 1956 წელი
მისამართი: ქ. თბილისი, ნ. ნიკოლაძის ქ. №3
ტელეფონი: (+995 322) 2 92 32 78
მობილური: (+995 322) 574 188 998

განათლება:

1979 - 1984 შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
კინოსარეჟისორო ფაკულტეტი
ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კინოსარეჟისორო მეორადი ფაკულტეტი

შრომითი საქმიანობა:

1990 დღემდე ტელეფილმების სტუდია “კვალი” (თბილისი, საქართველო)
კინორეჟისორი

ფილმები:

1990 მხატვრული ფილმი “დღე”
2002 - 2003 დოკუმენტური ფილმი “ხახვის ცრემლები”
2004 - 2005 დოკუმენტური ფილმი “დაბრუნება”
2007 სოციალური სარეკლამო ვიდეო-კლიპი
2007 დოკუმენტური ფილმი “ტაო-კლარჯეთი”
2013 მოკლემეტრაჟიანი ნოველა (8წთ.) მხატვრული ფილმიდან “თბილისი, ჩემი ქალაქი”

მონაწილეობა კინოფესტივალებში:

1990 მიუნხენის საერთაშორისო კინოფესტივალი
“ლონდონის ტელევიზიის IV არხის” ჯილდო ფილმისათვის - “დღე”
1991 ბერლინის საერთაშორისო ფილმების ფორუმი
1992 ფლორენციის კინოფესტივალი
1992 კიევის კინოფესტივალი
ჯილდო საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევრისათვის - ფილმი “დღე”

- 1992 ქართული ფილმების ფესტივალი “ოქროს არწივი”
ჯილდო საუკეთესო სადებიუტო ნამუშევრისათვის - ფილმი “ღლე”
- 2006 პრალის (ჩეხოსლოვაკია) საერთაშორისო ფილმების ფესტივალი
“ერთიანი სამყარო”
- 2006 საერთაშორისო ფილმების ფესტივალი ერევანში (სომხეთი)
- 2007 ანდრია პირველწოდებულის მართლმადიდებლური ფილმების
II საერთაშორისო ფესტივალი ბათუმში
მთავარი პრიზი - „წმინდა ანდრიას ჯვარი”
ფილმისათვის “ტაო-კლარჯეთი”
- წევრობა: საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი

#16 შრომის ქ.
თბილისი

მობ: 568835588
normafilm.nino@gmail.com

ნინო ჟვანია
18/04/1982

ფილმოგრაფია

2020 „მელოდია“ მოკლემეტრაჟიანი მ/ხ ფილმი
2017 „აღლუმი“ სრულმეტრაჟიანი მ/ხ ფილმი
2012 „ჩემი მეგობარი ილიკო“ მოკლემეტრაჟიანი მ/ხ ფილმი
2011 „მაპატიე მეგობარო“ მოკლემეტრაჟიანი მ/ხ ფილმი
2007 „ასათიანი“ მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი

განათლება

2006-2011
ვგიკი (რუსეთის სახელმწიფო კინემატოგრაფიის უნივერსიტეტი)
კინო სარეჟისორო ფაკულტეტი

რეზიუმე

ირაკლი აბაშიძის ქ. 17, ბინა 18
თბილისი, საქართველო 0079
+995-32-2-223587
academia@gmail.com

განათლება European Graduate School PhD ფილოსოფია	საას-ფე, შვეიცარია	2014-მიმდინარე
კოლუმბიის უნივერსიტეტი M.A. მედია	ნიუ იორკი, ა.შ.შ.	2009-2011
თავისუფალი უნივერსიტეტი M.A. აღმოსავლეთმცოდნეობა	თბილისი, საქ.	1998-2000
თავისუფალი უნივერსიტეტი B.A. აღმოსავლეთმცოდნეობა	თბილისი, საქ.	1994-1998

ფილმოგრაფია

მზის ქალაქი – 2017 რეჟისორი/პროდიუსერი (სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი.)

ლეთე – 2016. პროდიუსერი. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

უნილავი სივრცეები – 2014. პროდიუსერი. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

სკოლა ახალ სამყაროში – 2013. პროდიუსერი/მემონტაჟი. სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების ციკლი. სატელევიზიო არხი "კულტურა", რუსეთის ფედერაცია.

თელე – 2011. რეჟისორი, პროდიუსერი. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

წერილობითი დასაბუთება ლაშა ცქვიტინიძის

კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ლაშა ცქვიტინიძის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ ლაშა ცქვიტინიძის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

ლაშა ცქვიტინიძეს განათლება მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტზე, კინო-ტელე რეჟისურის მიმართულებით (მერაბ კოკონაშვილის სახელოსნო).

2012 წელს ლ. ცქვიტინიძე იყო ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის - ბერლინალეს და სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში გამართული ტალენტ კამპუსის მონაწილე.

2014-2015 წლებში ლ. ცქვიტინიძის ფილმები მონაწილეობდა სარაევოს, ჯიფონის, კოტბუსის, თბილისის, ლონდონის ტალინის, ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

2007-2020 წლებში ლაშა ცქვიტინიძეს როგორც რეჟისორს, გადაღებული აქვს სამი სტუდენტური ფილმი. თსუ დამთავრების შემდეგ, ლ. ცქვიტინიძეს გადაღებული აქვს მოკლემეტრაჟიანი ფილმები - „ჰობუნი“ და „თემო“, დოკუმენტური ფილმები - „ბორჯომი“ და „რიონო, ქალაქში ყველაზე ბებერო“, ასევე ორი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი - „მე ვარ ბესო“ და „ველი“.

ლაშა ცქვიტინიძეს, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდა რეჟისორს, ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი

გაბა ჩხეიძე

ბიო ფილმოგრაფია

ლაშა ცქვიტინიძე

პირადი ინფორმაცია:

დაბადების ადგილი: თბილისი. 18. 01. 1988

თბილისი გოთუას ქ. 16.

ტელ 995 551 377254

განათლება

თბილისის ვალდორფის სკოლა 1994–1998

თბილისის N 6 სკოლა 1998–2005

ივ. ჯავახიშვილის, სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარული ფაკულტეტის კინო–ტელე რეჟისურის მიმართულება

მერაბ კოკოჩაშვილის სახელოსნო. 2005–2010

ვორქშოფები, ფესტივალებზე მონაწილეობა

Berlinale Talent Campus 2012

Sarajevo Talent Campus 2012

Sarajevo Film Festival 2014

Gijon International Film Festival 2014

Film Festival Cottbus 2014

Tbilisi International Film Festival 2014

Mons International Love Film Festival 2014

London Georgian Film Festival. Life Through Cinema 2015

Batumi International Art House Film Festival 2015

Tallinn Black Nights Film Festival 2015

Tbilisi International Film Festival 2019

ფილმოგრაფია:

მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ჩემი ოჯახი“ 2007 (სტუდენტური ფილმი)

მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ცხოვრების ნაწილი“ 2008 (სტუდენტური ფილმი)

მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ტრანკინგული კავშირები“ 2009 (სტუდენტური ფილმი)

მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ჰობუნ“ 2011

სრულმეტრაჟიანი ფილმი „მე ვარ ბესო“ 2014

დოკუმენტური ფილმი „ბორჯომი“ 2014

დოკუმენტური ფილმი „რიონო ქალაქში ყველაზე ბებერო“ 2015

მოკლემეტრაჟიანი ფილმი „თემო“ 2016

სრულმეტრაჟიანი ფილმი "ველი" 2020

სხვა აქტივობები

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი "მამა" რეჟ. თორნიკე გოგრიჭიანი (რეჟისორის პირველი ასისტენტი) 2015